



დიდი
ოდიწაა

ბრებ იწბონ ელისი

ამერიკელი ფსიქოლოგი

ინგლისურიდან თარგმნა ალექსი სიუკაევა



სულაპურის
ამონსაბლოა

ედღვნება ბრიუს ტეილორს.

ეს მხატვრული ნაწარმოებია. ყველა გმირი, შემთხვევა და დიალოგი (შემთხვევით ნახსენები საჯარო პირების, პროდუქტებისა და მომსახურებების გარდა) ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს და რომელიმე ცოცხალი ადამიანის აღწერას ან რომელიმე კომპანიის პროდუქტებისა თუ სერვისების დისკრედიტაციას არ ისახავს მიზნად.

„რა თქმა უნდა, ამ ჩანაწერების ავტორიც გამოგონილია და საკუთრივ ჩანაწერებიც. თუმცა ამ ტექსტის შემქმნელის მსგავსი ინდივიდები ნამდვილად არსებობენ ჩვენს საზოგადოებაში. მეტიც, ასეთი ადამიანები აუცილებლად უნდა არსებობდნენ – თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებებს, რომლებმაც, ზოგადად, არსებითი როლი ითამაშა ჩვენი საზოგადოების ჩამოყალიბებაში. მინდოდა, საზოგადოების სამსჯავროზე გამომეტანა და დამეხატა მცირე ხნის წინ დასრულებული ეპოქის ერთ-ერთი პერსონაჟი. იგი იმ თაობას ეკუთვნის, რომელსაც უკვე გაუვლია ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ ნაწყვეტში, რომელსაც „იატაკევეშეთი“ ჰქვია, ეს პერსონაჟი საკუთარ თავსა და მოსაზრებას გვთავაზობს და სურს გაარკვიოს, თუ რა მიზეზების გამო გაჩნდა და საერთოდ რატომ უნდა გაჩენილიყო ის ჩვენს გარემოში. მომდევნო ნაწყვეტში კი ამ პირის ნამდვილი „ჩანაწერები“ იქნება წარმოდგენილი – ჩანაწერები, რომლებიც მისი ცხოვრების ზოგიერთ ეპიზოდს აღწერს.“

*ფიოდორ დოსტოევსკი,
„ჩანაწერები იატაკევეშეთიდან“*

„ძალიან ცდება ის, ვინც მიიჩნევს, რომ კარგი მანერები მხოლოდ კეთილშობილური იდეების გამოხატულებაა. სინამდვილეში ყველაფერი სულ სხვანაირადაა მოწყობილი. ნებისმიერი – მათ შორის ყველაზე უფრო თავხედური ქცევაც კი – წესიერების ფარგლებში შეიძლება იქნას წარმოდგენილი. სწორედ ამისთვის არსებობს ცივილიზაცია – რათა ადამიანებმა თავაზიანობა გამოავლინონ ერთმანეთის მიმართ და მტრული დამოკიდებულება არ გამოხატონ. მაგალითად, შეგვიძლია გავიხსენოთ სამოციან წლებში გავრცელებული „ნატურალისტური მოძრაობის“ წევრები – რუსოს მიმდევრები, რომლებიც კითხულობდნენ: „რატომ არ შეიძლება იმის თქმა, რასაც ფიქრობ?“ მათი პოზიცია საფუძველშივე არასწორია. ცივილიზებულ საზოგადოებაში გარკვეული ტიპის შეზღუდვები უნდა არსებობდეს. თითოეული ჩვენგანი ყველა იმპულსს რომ ემორჩილებოდეს, ერთმანეთს დავხოცავდით.“

მის მანერსი (ჯუდიტ მარტინი)

„და როდესაც ყველაფერი დაინგრა,
არავის გამოუჩენია საკმარისი ყურადღება.“

Talking Heads

ღმეს პირველი აპრილია!

მეთერთმეტე ქუჩისა და პირველი ავენიუს კვეთის მახლობლად, „ქემიკალ ბენკის“ კედელზე, სისხლისფერი ასოებითაა გამოყვანილი ციტატა: „აქ შემომსვლელნო, ყველა იმედი გარეთ დატოვეთ“, რომელიც იმდენად დიდი შრიფტითაა ნაწერი, რომ უოლ-სტრიტიდან მომავალი მანქანებით გადატვირთულ გზაზე მლოლავი ტაქსის სალონის უკანა სავარძლიდანაც კი გარკვევით მოჩანს. იმავე წამს, რაც ტიმოთი პრაისი ამ წარწერას ამჩნევს, ტაქსის გვერდით დგება ავტობუსი, რომლის გვერდზეც „საბრალონის“ აფიშაა გაკრული. ტაქსის მგზავრს თვალსაწიერი ეზღუდება, მაგრამ ოცდაექვსი წლის პრაისი – კომპანია „პირსი და პირსის“ გუნდის წევრი – ამის გამო, სავარაუდოდ, სულაც არ ღელავს. მძღოლს სთხოვს, რადიომიმღებს აუნიოს და სანაცვლოდ ხუთ დოლარს ჰპირდება. WYNN-ის ეთერში Be My Baby ჟღერს. შავკანიანი, არაამერიკელი მძღოლი მგზავრს თხოვნას უსრულებს.

– ძალიან საზრიანი გახლავართ, – ამბობს პრაისი, – შემოქმედის ბუნება მაქვს. ახალგაზრდა, უპრინციპო, უაღრესად მოტივირებული და განათლებული ვარ. მოკლედ... იმის თქმა მინდა, რომ სოციუმს ჩემი დაკარგვის უფლება არ აქვს. მე საზოგადოებრივ აქტივის წარმოვადგენ.

შემდეგ ჩუმდება და ისევ ავტომობილის ბინძურ ფანჯარაში იხედება. სავარაუდოდ, მეოთხე და მეშვიდე ავენიუების კვეთაზე მდგარი „მაკდონალდსის“ კედელზე წითელი პულვერიზატორით გამოსახულ წარწერას გასცქერის. ფასტფუდის რესტორანს „შიში“ აწერია.

– იმის თქმა მინდა, რომ არავის ადარდებს თავისი სამუშაო. ყველას სძულს სამსახური. მე არ მიყვარს ჩემი საქმე, ცოტა ხნის წინ შენც ალიარე, რომ შენი სამუშაო გეჯავრება. და როგორ მოვიქცე? ლოს-ანჯელესში დავბრუნდე? გამორიცხულია. კალიფორნიის უნივერსიტეტიდან სტენფორდში იმისთვის არ გადმოვსულვარ, რომ ასეთ პირობებში მეცხოვრა. ნუთუ მარტო მე მგონია, რომ საკმარის ფულს ვერ ვმოულობთ?

კიდევ ერთი ავტობუსი ჩნდება – ისე, როგორც ფილმში ხდება ხოლმე – და

„საბრალონის“ პოსტერი ამჯერადაც ფარავს კედელზე გამოსახულ სიტყვას. თუმცა ეს ის ავტობუსი არ არის – ვილაცამ ამ პლაკატზე ეპონინის სახეს სიტყვა „ლესბი“ მიანერა. ტიმი როყიოდ წარმოთქვამს:

– აქ კოოპერატივი მაქვს. ღვთის გულისათვის, ბოლოს და ბოლოს, სხვა თუ არაფერი, საკუთარი ბინა მაქვს ჰემპტონსში!

– მშობლების ბინა, ძმაო. ეგ ბინა შენი მშობლებისაა.

– მათგან ვყიდულობ. არ აუნევ მაგ დედამოცნულ რადიოს? – აგრესიულად და ცოტათი დაბნეულად მიმართავს ტიმი მძლოლს. რადიომიმღებიდან ჯერაც „კრისტალზის“ სიმღერა ისმის.

– ამაზე მეტად არ ავუნევ, – სავარაუდოდ, ამბობს მძლოლი.

ტიმოთი ყურადღებას არ აქცევს მის ნათქვამს და აგრძელებს:

– ალბათ, დავრჩებოდი კიდევ ამ ქალაქში, ტაქსოპარკის მანქანებში „ბლა-უპუნკტის“ აუდიოსისტემა რომ დაემონტაჟებინა ვინმეს... ODM III, ან ORC II, – შერბილებული ინტონაციით წარმოთქვამს ტიმი, – რომელიმე... მაგრად გაასწორებდა, ძმაო.

კისრიდან ძვირადღირებული შესახედაობის უოკმენს იხსნის და წუნუნს აგრძელებს:

– ვერ ვიტან წუნუნს. მართლა ვერ ვიტან. ძალიან მეზარება წუნუნნი ამ ნაგავზე, ნარჩენებზე, ავადმყოფობებზე, ამ ქალაქის სიბინძურეზე. შენც კარგად იცი, რომ ეს სალ...

პრაისი გაუჩერებლად ლაპარაკობს და, ამავედროულად, Tumi-ს ახალ პორტფელს ხსნის. ხბოს ტყავის ჩანთას, რომელიც „დ. ფ. სანდერსში“ შეიძინა. უოკმენს „პანასონიკის“ მიერ გამოშვებული, პორტმონეს ზომის უკაბელო პორტატული ტელეფონის გვერდით დებს (ადრე NEC 9000 Porta-ს იყენებდა) და დღევანდელ გაზეთს იღებს.

– ერთ ნომერში – აი, ამ ერთ ნომერში... ვნახოთ... დამხრჩვალნი მოდელები, მრავალსართულიანი სახლის სახურავიდან გადმოყრილი ჩვილები, მეტროში დახოცილი მოზარდები, კომუნისტების ყრილობა, მაფიის ბოსის მკვლელობა, ნაცისტები, – ამბობს ტიმი და აღტყინებული ფურცლავს გაზეთს, – შიდად დაავადებული ბეისბოლის მოთამაშეები... კიდევ ერთი ცნობა მაფიის შესახებ... საცობი... უსახლკაროები... ათასი ჯურის მანიაკები... გოთვერნები ბუზებივით იხოცებიან ქუჩაში, სუროგატი დედები... რომელიღაც საპნის ოპერა გააუქმეს... ბავშვები ზოოპარკში შეიპარნენ, რამდენიმე ცხოველი აწამეს და ცოცხლად დაწვეს... კიდევ ერთი ცნობა ნაცისტების შესახებ... და სასაცილო ისაა, რომ ეს ყველაფერი ამ ქალაქში ხდება. ამ ქალაქში და არა სადმე სხვაგან. აჰ, მოიცა... კიდევ ერთი სტატია ნაცისტებზე... საცობი, საცობი, ბავშვებით მოვაჭრეები, შავ ბაზარზე გაყიდული ბავშვები, შიდაიანი ბავშვები, ნარკომანი ბავშვები,

შენობა, რომლის ქვეშაც თოთო ბავშვი მოჰყვა... მანიაკი ბავშვი... საცობი... ჩანგრეული ხიდი...

ჩუმდება, სულს ითქვამს, მეორე ავენიუსა და მეხუთე ქუჩის კუთხეში მდგარ მათხოვარზე აჩერებს მზერას და წარმოთქვამს:

– ეს გლახაკი ოცდამეოთხეა იმ მათხოვრებს შორის, რომლებიც დღეს შევნიშნე. ვითვლიდი, – ამბობს ის. თვალს არ აშორებს უპოვარს და ამბობს: – რატომ არ გაცვია ლაჟვარდისფერი პიჯაკი და ნაცრისფერი შარვალი?

ტიმოთი პრაისს „ერმენეჯილდო ზენიას“ დიზაინით შეკერილი ექვსლილიანი, შალითა და აბრეშუმით განწყობილი პიჯაკი და „აიკ ბეჰარის“ ფრანგული მანუეტებით დამშვენებული ბამბის პერანგი აცვია. „რალფ ლორენის“ აბრეშუმის ჰალსტუხი უკეთია, ფეხებს კი „ფრატელი როზეტის“ ტყავის ნანვეტებულცხვირიანი ფეხსაცმელი უმშვენებს. „პოსტს“ ჩაჰკირკიტებს და ორი ტიპის ასე თუ ისე საინტერესო ამბავს ეცნობა: ისინი ერთი „ნახევრად ცნობილი“ ნიუიორკელის იახტის გემბანზე მოწყობილი წვეულებიდან გაუჩინარდნენ მაშინ, როდესაც გემი კუნძულის გარშემო დაცურავდა. სისხლის ლაქებისა და შამპანურის დამსხვრეული ჭიქების გარდა გამოძიებას ერთი სამხილიც კი არ აქვს. სავარაუდოდ, დანაშაულებრივი ქმედება იყო. პოლიციის განცხადებით, გემბანზე აღმოჩენილი ნაკანრებისა და ნაჭდეგების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მკვლელობა მაჩეტითი ჩაიდინეს. გვამები ვერ აღმოაჩინეს. გამოძიებას ეჭვმიტანილი არ ჰყავს. დღეს პრაისი ჯერ კიდევ ლანჩის დროს დაიქოქა. არც სკვოშის თამაშისას დამცხრალა, შემდეგ კი Harry's-ს ესტუმრა, სადაც თავისი ექსცენტრული გამოსვლა სამი ჭიქა J&B-სა და წყლის თანხლებით გააგრძელა – მისი ტირადის მთავარ ადრესატებად პოლ ოუენი და მისი „ფიშერის ანგარიში“ იქცნენ. პრაისი არ გაჩუმდება.

– დაავადებები! – ხმამაღლა ამბობს ის და სახე მტკივნეულად ეჭმუხნება, – ბოლო დროს გავრცელებული მოსაზრების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი სქესობრივი კავშირის შედეგად შიდსის ვირუსი გადმოგედება, არ არის გამორიცხული, რომ სხვა დაავადებებიც აიკიდო – მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ვირუსებით არ ვრცელდება – ალცჰაიმერი, კუნთის დისტროფია, ჰემოფილია, ლეიკემია, ანორექსია, დიაბეტი, კიბო, ათასგვარი სკლეროზი, კისტური ფიბროზი, ცერებრალური დამბლა, დისლექსია... ღვთის გულისათვის... შეიძლება ვაგინამ დისლექსია აგკიდოს!..

– არ ვარ დარწმუნებული, ძმაო, მაგრამ მგონი, დისლექსია ვირუსი არ არის.

– ეჰ, ვინ იცის! არავინ იცის. დაამტკიცე.

ტაქსის სალონის გარეთ, ტროტუარზე, შავი, გაბერილი მტრედები Gray's Papaya-ს წინ დაგდებული ჰოთდოგის ნარჩენების მოსაპოვებლად ერთმანეთს ებრძვიან, ტრანსვესტიტები ზანტად გასცქერიან არემარეს, პოლიციის მანქა-

ნა კი უხმაუროდ, საპირისპირო მიმართულებით მიუყვება ქუჩას, რომელზეც ცალმხრივი მოძრაობაა დაწესებული.

პირდაპირ გაჩერებული ტაქსიდან ვილაც კაცი გადმოდის, რომელიც ძალიან ჰგავს ლუის კარათერს. იგი ხელს უქნევს ტიმოთის. ტიმოთი სალამზე არ პასუხობს და ტაქსიდან გადმოსული მამაკაცი (რომელსაც უკან გადავარცხნილი თმა, აჭიმები და რქისჩარჩოიანი სათვალე ამშვენებს) ხვდება, რომ მეორე ტაქსიში მჯდარი კაცი ის არაა, ვინც მას ეგონა, და მზერას ისევ „იუ-ეს-ეი თუდეის“ ნომერზე აჩერებს. ტროტუარზე მახინჯი უსახლკარო დედაბერი მოაბიჯებს. ხელში მათრახი უჭირავს, რომელსაც მტრედებს უღერებს, მაგრამ ფრინველები მას აინუნშიც არ აგდებენ და შიმშილით დაგემილები ისევ ჰოთდოგის ნარჩენების მოსაპოვებლად ებრძვიან ერთმანეთს. პოლიციის მანქანა მინისქვეშა ავტოსადგომში უჩინარდება.

– მაგრამ იმნამს, როცა არსებული რეალობის თითოეული დეტალის უპირობოდ მიღების დრო დგება, როდესაც შენი სხეული მზადაა ამ სიგიჟის მისაღებად, როცა ეს ყველაფერი გარკვეულ აზრს იძენს და „ნორმაში ჯდება“, უცებ ჩვენ წინაშე ვილაც არანორმალური უსახლკარო ზანგი გამოჩნდება, რომელსაც სურს... მისმინე, ბეიტმენ... უსახლკარო ზანგი, რომელსაც ქუჩაში ყოფნა უნდა. აი, ამ ქუჩაში. შეხედე, აი, ამ ქუჩაში, – ამბობს იგი და თითს იშვერს, – და ჩვენ გვყავს მერი, რომელიც მის ამ სურვილს ყურსაც არ ათხოვებს; მერი, რომელიც ამ ძუკნას ასე ცხოვრების უფლებას არ მისცემს. ღმერთო ჩემო! რატომ არ მისცემენ ამ დაფეხვილ დედაბერს გაყინვისა და სიკვდილის უფლებას? თუკი მას ამ თვითნაბადი სილატაკის ქაობიდან ამოიყვანენ, ემოციები იმნამსვე აგერევა და კვლავ სანყის ფაზას უბრუნდები – დაბნეულობა გიპყრობს და უბრალოდ შტერდები. ნომერი ოცდაოთხი... არა, ოცდახუთი... ვინ იქნება ეველინის წვეულებაზე? მოიცა, გამოვიცნობ, – ამბობს ის და მემანიკურის მიერ უზადოდ დამუშავებულ ხელს სწევს, – ემლი, კორტინი, მალდუინი, მარინა, ჩარლზი... ხომ არ მეშლება? ალბათ ეველინის რომელიმე „ხელოვანი“ მეგობარიც იქნება – რომელიმე „ისტვილიჯელი“ არტისტი. მოკლედ... ხომ ხვდები, ვისაც ვგულისხმობ? აი, იმ ტიპებს, ეველინს კარგ თეთრ მშრალ შარდონეს რომ სთხოვენ ხოლმე...

ხელს შუბლზე ირტყამს და თვალბდახუჭული, კბილებში ცრის:

– მორჩა! მერედითი უნდა მივატოვო. უცერემონიოდ მაიძულებს, მიყვარდეს. საკმარისია! რატომ დამჭირდა ამდენი დრო იმის მისახვედრად, რომ ტიპური გეიმშოუს წამყვანს ჰგავს? ოცდაექვსი, ოცდაშვიდი... ანუ, ვეუბნები, რომ მგრძნობიარე ადამიანი ვარ. ამას წინათ ვუთხარი, რომ ძალიან მძიმედ განვიცადე „ჩელენჯერის“ დალუპვის ფაქტი... მეტი რა უნდა?! ეთიკური მანერების მქონე, შემწყნარებელი ადამიანი ვარ, ანუ, იმის თქმა მინდა, რომ სრულიად

კმაყოფილი ვარ ჩემი ცხოვრებით და მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ.
შენც ხომ ასეთი განწყობა გაქვს?

– რა თქმა უნდა, მაგრამ...

– მისგან კი მხოლოდ ნეგატიურ ემოციებს ვიღებ... ოცდარვა, ოცდაცხრა...
ჯანდაბა! ნამდვილი ბუდე აქვთ აქ მოწყობილი. გეუბნები...

უცებ ისე დუმდება, თითქოს არაქათი გამოეცალაო. „საბრალონის“ მორიგ
პოსტერს გვერდს უქცევს. აშკარად რაღაც მნიშვნელოვანს იხსენებს. ბოლოს
მეკითხება:

– წაიკითხე სტატია იმ სატელევიზიო გეიმშოუს წამყვანზე? ორი მოზარდი
ბიჭი მოუკლავს. გათახსირებული პედერასტი... ვერაფერს იტყვი – ძალიან
თავშესაქცევი ამბავია...

პრაისი რეაქციას ელოდება, მაგრამ ამაოდ. და აი, აფერ-უესტ-საიდიც...

მძლოლს ოთხმოცდამეერთე ქუჩისა და რივერსაიდის კვეთაზე სთხოვს
გაჩერებას.

– წრე რომ არ დაარტყ... – წარმოთქვამს პრაისი.

– სხვა გზით მოვუვლი, – ამბობს მძლოლი.

– არ შენუხდე, – ამბობს პრაისი და შემდეგ მისგან ოდნავ პირშექცეული,
ლიმილის გარეშე ცრის კბილებში: – რა ყვეყნია ეს ჩემისა!

მძლოლი მანქანას აჩერებს. უკან მომავალი ორი ტაქსი უსიგნალებს.

– ყვავილები ხომ არ ავვეტანა?

– არა. ჯანდაბა, ბეიტმენ... ხომ არ დაგავინწყდა, რომ მაგ გოგოს ხერხავ?
რისთვის უნდა მივუტანოთ ყვავილები ეველინს?.. იმედია, ორმოცდაათდო-
ლარიანის ხურდა მოგეძევება, – ეუბნება პრაისი მძლოლს და მრიცხველზე
ალბექდილ წითელ ციფრებს გასცქერის, – ჯანდაბა... სტეროიდების ბრალია.
მაგიტომ ვარ ასე დაძაბული. მაპატიე.

– მეგონა, უკვე დაანებე თავი.

– კიდურებზე აკნე გამიჩნდა. ულტრაიისფერმა დასხივებამ არ მიშველა,
ამიტომ უარი ვთქვი იმ პროცედურებზე, უბრალო სოლარიუმში დავინყე სია-
რული და ის წყეული მუნუკები მოვიშორე. ბეიტმენ, უნდა ნახო, რა რელიეფური
მუცელი მაქვს. სრულყოფილი, იდეალურად გამოკვეთილი პრესით, – ამბობს
პრაისი. მის ხმაში უცნაური დაბნეულობა და გონებაგაფანტულობა იგრძნობა.
მძლოლისგან ხურდას ელოდება, – ერთი სიტყვით, რელიეფური.

მძლოლს, რომელსაც პრაისი ერთ ცენტსაც კი არ უტოვებს საჩუქრად, მაინც
უაღრესად მაღლიერი გამომეტყველება აქვს.

– კარგად იყავი, შლომო, – წარმოთქვამს ტიმი.

– ჯანდაბა, ჯანდაბა, ჯანდაბა! – ამბობს ის და თან კარს აღებს, მანქანიდან
გადადის და ქუჩაში მდგარ უსახლკაროს შეჰყურებს, – ბინგო! ესეც ოცდამე-

ათე! – მოუვლელ, გაუპარსავ გლახაკს რაღაც უცნაური, გოიმური, ბინძური მწვანე კომბინიზონი აცვია. ჭუჭყიანი თმა უკან აქვს გადავარცხნილი. პირსს ტაქსის კარი უჭირავს – თითქოს გალანტურად ელოდება მათხოვარს. დაბნეული გლახაკი ბუტბუტებს, დარცხვენილი დაჰყურებს ასფალტს და ჩვენკენ იშვერს პენოპლასტიკისგან დამზადებულ ყავის ცარიელ ჭიქას.

– ვფიქრობ, ტაქსი არ სჭირდება, – ამბობს პრაისი და ტაქსის კარს აჯახუნებს, – ჰკითხე, American Express-ს თუ იღებს.

– „ამექსს“ იღებ?

გლახაკი თავს აკანტურებს და ნელა, კოჭლობით გვშორდება.

აპრილის კვალობაზე საკმაოდ ცივა. პრაისი სწრაფი ნაბიჯით მიიწევს ეველინის ბრაუნსტოუნისკენ და თან „If I Were a Rich Man“-ის მოტივს უსტვენს. მისი თბილი სუნთქვა კვამლის ღრუბლად იფრქვევა ჰაერში. მიაბიჯებს და თან Tumi-ს პორტფელს იქნევს. მოშორებით მეორე მხარეს მომავალი ვიღაც თმაგადაგლესილი ჩანს, ძვლისჩარჩოიანი სათვალე უკეთია, Cerruti 1881-ის კოსტიუმი, უფრო ზუსტად კი, ჩალისფერი გაბარდინის ორბორტიანი პიჯაკი და შარვალი აცვია, ხელში კი D.F.Sanders-ის Tumi უჭირავს – ზუსტად ისეთივე პორტფელი, როგორიც პრაისს აქვს.

– ეს ვიქტორ პაუელია? წარმოუდგენელია! – წარმოთქვამს გაოცებული ტიმოთი.

მამაკაცი ქუჩის ლამპიონის ფლუორესცენციური შუქის ქვეშ მოაბიჯებს. დაძაბულ სახეზე მსუბუქი ღიმილი ეფინება. ისე შესცქერის პრაისს, თითქოს მისი ნაცნობი იყოს, მაგრამ უცებ ხვდება, რომ მას არ იცნობს და პრაისიც ხვდება, რომ ეს ვიქტორ პაუელი არ არის. უცნობი გზას აგრძელებს.

– მადლობა ღმერთს, – ლულულულით წარმოთქვამს პრაისი და ეველინის სახლს უახლოვდება.

– ძალიან ჰგავს.

– პაუელი ეველინის წვეულებაზე? ისე შეეფერებიან ერთმანეთს, როგორც პეისლი¹ და პლედი², – პრაისი კიდევ ერთხელ ცდილობს სწორი ანალოგიის მოძებნას და ბოლოს წარმოთქვამს: – როგორც თეთრი წინდები და ნაცრისფერი შარვალი.

სამი-ოთხი წამის შემდეგ პრაისი უკვე ბრაუნსტოუნის პარმალზე ამავალ

¹ პეისლი ანუ პეისლის მოხატულობა – ორნამენტული დიზაინი, რომელიც სპარსული ცრემლისებური, ბოლომოკაუჭებუი ფიგურებითაა მოჩითული. პეისლი ევროპაში მე-18-მე-19 საუკუნეებში გავრცელდა ინდოეთიდან შემოტანილი მოგოლების იმპერიის შემდგომი ქიშმირის დიზაინის გავლენით.

² ფერადი შალის უჯრულა ქსოვილი. ჩრდ. ამერიკაში კონკრეტულად შოტლანდიური უჯრუბიანი ქსოვილის აღმნიშვნელად გამოიყენება.

კიბეზე არბის. ეს სახლი ეველინს მამამისმა აჩუქა. პრაისი კარს უახლოვდება და თან ბუზღუნებს, რომ გუშინ Video Haven-იდან რამდენიმე კასეტა გამოიტანა და დაბრუნება დაავიწყდა. ზარს რეკავს. ეველინის სახლის მეზობლად მდგარი ბრაუნსტონიდან ვილაც ქალი გამოდის. უცნობი ბანოვანი, რომელსაც მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები აცვია და შესანიშნავი საჯდომი აქვს, სახლს ტოვებს, თუმცა კარს არ კეტავს. პრაისი მზერით აცილებს ქალს. როცა ეველინის სახლის დერეფნიდან ჩვენკენ მომავალი ადამიანის ფეხის ხმა მის ყურს ნვდება, ტიმოთი ტრიალდება, „ვერსაჩეს“ ჰალსტუხს ისწორებს და შეხვედრისთვის ემზადება. კარს აღებს კორტნი, „კრიციას“ კრემისფერი აბრეშუმის ბლუზაში, ამავე ბრენდის ჟანგისფერ ბოლოკაბასა და d'Orsayის – მანოლო ბლანიკის დიზაინით შეკერილი, აბრეშუმითა და ატლასით განწყობილ მაღალქუსლიან ფეხსაცმელში გამონწყობილი.

კანკალით ვანვდი „ჯორჯო არმანის“ საფირმო მაღაზიაში ნაყიდ ჩემს შავ შალის პალტოს. კორტნი პალტოს მართმევს და ჩემი ლოყის ზედაპირის ახლოს ცარიელ სივრცეს კოცნის, შემდეგ კი პრაისსაც მსგავსი კოცნით აჯილდოებს და მასაც „არმანის“ პალტოს ართმევს. საერთო ოთახში კომპაქტდისკის დამკვრელია ჩართული და ხმაჩანეული დინამიკებიდან „თოქინგ ჰედზის“ ახალი სიმღერა ისმის.

– მგონი, ცოტა დაგავიანდათ, – ამბობს კორტნი და ავხორცულად ილიმება.

– სულელი ჰაიტიელი მძლოლის ბრალია, – ბურდღუნებს პრაისი და კორტნის ამბორს ისეთივე ჰაეროვანი კოცნით პასუხობს, – სადმე დავჯავშნეთ ადგილი? გთხოვ, ნუ მეტყვი, რომ ცხრა საათზე „პესტელზში“ უნდა ვიყოთ.

კორტნი ილიმება და ორივე პალტოს შემოსასვლელის ჩაშენებულ კარადაში კიდებს.

– დღეს სახლში ვვახშობთ, მეგობრებო. ვიცი, ვიცი, ვეცადე, ეველინი გადამერწმუნებინა, მაგრამ... სუმი აირჩია. ბოდიშს გიხდით.

ტიმი ფოიეში მიაბიჯებს. სამზარეულოსკენ აქვს აღებული გეზი.

– ეველინ! სად ხარ, ეველინ? – ნამღერებით წარმოთქვამს იგი, – საქმე გვაქვს შენთან. უნდა დაგელაპარაკო.

– მიხარია შენი დანახვა, – ვეუბნები კორტნის, – ძალიან კარგად გამოიყურები. სახე ერთგვარი... ახალგაზრდული გზნებით გაქვს გაცისკროვნებული.

– ქალის მოხიბვლა ნამდვილად კარგად გამოგდის, ბეიტმენ, – მეუბნება კორტნი. მის ხმაში სარკაზმის ნატამალიც კი არ იგრძნობა, – როგორ მოვიქცე? გავუზიარო ეველინს შენი შთაბეჭდილებები? – არშიყით მეკითხება იგი.

– არა, – ვპასუხობ მე, – მაგრამ დარწმუნებული ვარ, სიამოვნებით ეტყოდი.

– წამო, – წარმოთქვამს კორტნი, ჩემს ხელებს წელიდან იშორებს, ხელებს მხრებზე მანყოფს და სამზარეულოსკენ მიბიძგებს, – ეველინი უნდა გადავა-

რჩინოთ. უკვე ერთი საათია, სუშის ალაგებს. ცდილობს, შენი ინიციალები გამოსახოს. სახელის პირველ ასოს ყვითელკუდას როლებით აწყობს, გვარისას კი თინუსით „წერს“. მაგრამ, მისი აზრით, თინუსი ძალიან ფერმკრთალია...

– რა რომანტიკულია!

– გვარის ინიციალის დასაწყობად მეტი ყვითელკუდა სჭირდება, – ამბობს კორტნი და ღრმად ისუნთქავს ჰაერს, – ამიტომ, სავარაუდოდ, სუშის ტიმის ინიციალების ფორმით დაალაგებს. წინააღმდეგი ხომ არ იქნები? – ოდნავი შეშფოთება გაისმის მის ხმაში. კორტნი ლუის კარათერზის შეყვარებულია.

– საშინლად ვეჭვიანობ. ეველინს უნდა დაველაპარაკო, – ვამბობ მე. კორტნი მსუბუქი ბიძგით მაგდებს სამზარეულოში.

ეველინი ღია ფერის ხისგან დამზადებულ დახლთან დგას. „კრიციას“ კრემისფერი აბრეშუმის ბლუზა, „კრიციას“ ჟანგისფერი ტვიდის ბოლოკაბა და d’Orsay-ის აბრეშუმითა და ატლასით გაწყობილი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი აცვია – ზუსტად ისეთივე, როგორიც კორტნის. გრძელი ქერა თმა უბრალო კონად აქვს შეკრული კეფაზე. „უილტონის“ უჟანგავი ფოლადის ოვალურ ხონჩას დაჰყურებს და ასე თავდახრილი მესალმება. ლითონის სინზე მარჯვედ დაწყობილ სუშის ვამჩნევ.

– ბოდიშს გიხდი, ძვირფასო. იმ ახალ, პატარა საყვარელ სალვადორულ ბისტროში მინდოდა წასვლა, ლოუერ-ისტ-საიდში რომ გახსნეს...

პრაისი ხმამაღლა ოხრავს.

– მაგრამ ადგილი ვერ დაგვავაშენეთ. ნუ ოხრავ, ტიმოთი, – ამბობს ეველინი, ყვითელკუდას ნაჭერს იღებს და ფრთხილად ათავსებს ხონჩის კიდესთან – ასე ასრულებს დეკორატიულ კომპოზიციას, რომელიც ასომთავრულ T-ს ჰგავს. ამის შემდეგ უკან იხევს და ხონჩასა და მასზე დაწყობილ საჭმელს თვალთ ზომავს.

– არ ვიცი... არ ვარ დარწმუნებული, რომ კარგად გამომივიდა.

– ხომ გთხოვე, რომ „ფინლანდია“ გეყიდა და შეგენახა! – ამბობს ტიმი და ბარის ჭურჭელს (მეტწილად ლიტრ-ნახევრიან ბოთლებს) ათვალთვრებს, – არასდროს აქვს „ფინლანდია“, – ჩივის ტიმი. კონკრეტულად არავის ეუბნება, ყველას მოგვემართავს.

– ღმერთო ჩემო! „აბსოლუტს“ არ იკადრებ, ტიმოთი? – კითხულობს ეველინი და შემდეგ ფიქრით გართული ადამიანის ტონით მიმართავს კორტნის: – „კალიფორნია“ ხონჩის კიდებზე მოვათავსოთ, არა?

– დალევ, ბეიტმენ? – ოხრავს პრაისი.

– J&B ყინულით, – ვეუბნები ტიმს და უცებ ვაცნობიერებ, რომ რატომღაც მერედიტი არაა დაპატიჟებული.

– ღმერთო! რა დომხალია! – წარმოთქვამს ეველინი, – ახლა ავტირდები.

– არადა, ეს სუმი შესანიშნავად გამოიყურება, – მანუეგუმბელი ტონით ვეუბნები მას.

– არა... ამ სინზე დომხალია, – სლუკუნებს ეველინი, – ნამდვილი დომხალია.

– არა, არა, სუმი შესანიშნავად გამოიყურება, – ვეუბნები ეველინს. ყველანაირად ვცილობ, დავამშვიდო. კამბალას ნაჭერს პირში ვიტენი, გულწრფელი სიამოვნების გამომხატველ ხმებს გამოვცემ, ეველინს უკნიდან ვუახლოვდები, ვეხუტები და გამოტენილი პირით ვამბობ, – და თან გემრიელია.

ეველინი ხუმრობით მირტყამს ხელებზე. აშკარად ესიამოვნა ჩემი რეაქცია. ჩემი ლოყის ზედაპირს სახით უახლოვდება, ჰაერს კოცნის და კორტნისკენ ტრიალდება. პრაისი სასმელს მანვდის, შემდეგ კი საერთო ოთახისკენ იღებს გეზს და თან ცდილობს, პიჯაკიდან თვალისათვის უჩინარი ლაქა მოიშოროს.

– ეველინ, ტანსაცმლის ჯაგრისი ხომ არ გაქვს? – ამბობს ის.

ამ საღამოს სიამოვნებით ვნახავდი ბეისბოლის მატჩს, ან სავარჯიშო დარბაზში მივიდოდი. უარეს შემთხვევაში იმ საღვადორულ რესტორანს „დავეცემოდი“, რომელსაც ჟურნალებმა „ნიუ-იორკმა“ და „ტიამსმა“ საკმაოდ პოზიტიური რეცენზიები მიუძღვნეს. თუმცა, ეველინის სახლში გამართულ წვეულებებს ერთი დადებითი მხარე აქვს – ეს ღონისძიებები ჩემი საცხოვრებლის მახლობლად ეწყობა ხოლმე.

– ალბათ, არაფერი დაშავდება, თუკი სოიის სოუსი ოთახის ტემპერატურისა არ იქნება. ასე არ არის? – კითხულობს კორტნი, – მგონი, ერთ-ერთ კერძში ყინული ურევია.

სოიის სანებლით სავსე ფაიფურის პატარა თასის გვერდით ეველინი ბაცფორთოხლისფერი ჯანჯაფილის ნაჭრებს ფაქიზად აწყობს.

– არა. დაშავდება. პატრიკ, გთხოვ, „კირინი“ გამოიღე მაცივრიდან, – წარმოთქვამს ეველინი. სახეზე ეტყობა, რომ ჯანჯაფილმა დატანჯა. იგი კოჭას დარჩენილ ნაჭრებს ხელის მკვეთრი მოძრაობით ყრის ხონჩაზე და წარმოთქვამს: – კარგი. არ არის საჭირო. მე თვითონ გამოვიღებ.

თუმცა, მე მაინც ვუახლოვდები მაცივარს. სამზარეულოში პირგამეხებული პრაისი შემოდის და წარმოთქვამს:

– ჯანდაბა! ვინაა საერთო ოთახში?

– ვინაა? – ისე კითხულობს ეველინი, თითქოს ვერ ხვდება, ვის გულისხმობენ.

– ე-ვე-ლინ! მეგონა, ორივე გაფრთხილებული გყავდა.

– ვინაა? – წარმოვთქვამ მე და მოულოდნელად შიში მიპყრობს, – ვიქტორ პაუელი?

– არა. ვიქტორ პაუელი არაა, პატრიკ, – სასხვათაშორისოდ ამბობს ეველინი, – ჩემი ხელოვანი მეგობარი სტეში და მისი შეყვარებული ვენდენი მოვიდნენ.

– თურმე ვინ ყოფილა ის გოგო! – წარმოთქვამს პრაისი, – გადი და შეათვა-

ლიერე, ბეიტმენ, – თამამად მთავაზობს, – გინდა, გამოვიცნო, საიდან არიან? გეტყვი! ისტ-ვილიჯიდან!

– ოჰ, პრასი! – არშეიყით ამბობს ეველინი და ლუდის ბოთლებს ხსნის, – მერე რა, მართლაც ისტ-ვილიჯიდან რომც იყვნენ?! ვენდენი კემდენში სწავლობს, სტეში კი სოპროში. აი, ასე!

სამზარეულოდან გამოვდივარ. სასადილო ოთახში მაგიდაა გაშლილი. Fortunoff-ის ვერცხლის შანდლებში Zona-ს ცვილის სანთლები ანთია. საერთო ოთახში შევდივარ. სტემს სრულიად შავი სამოსი აცვია და ამიტომ მისი ტან-საცმლის ბრენდს ვერ ვარჩევ. ვენდენს თმაში მწვანე ლენტები ჩაუბნევია, სიგარეტს ეწევა და თან MTV-ზე ჰევიმეტალ სიმღერის კლიპს უყურებს.

– ეჰჰე ... – ვახველებ.

ვენდენი ყურადღებით მათვალეირებს. სავარაუდოდ, განგრეულ კაიფშია. სტეში არ ინძრევა.

– გამარჯობა. პეტ ბეიტმენი, – წარმოვთქვამ მე და გოგონას ხელს ვუწვდი. კედელზე ჩამოკიდებულ სარკეში ვიხედები და საკუთარი გარეგნობის შეფასებისას მოწონებით მელიმება.

ვენდენი უსიტყვოდ მართმევს ხელს. სტეში გოგონას თითების სუნს იყნოსავს.

მაშინვე სამზარეულოში ვბრუნდები.

– უბრალოდ გაყარეთ აქედან! – ნუნუნებს პრასი, – კაიფშია და თან MTV-ს უყურებს, მე კი მაკ-ნილისა და ლერერის რეპორტაჟის ყურება მინდა.

ეველინი, რომელსაც ჯერ არ დაუმთავრებია იმპორტული ლუდის უზარმაზარი ბოთლების გახსნა, დაბნეულად ამბობს:

– მოდი, დროზე შევჭამოთ ეს ყველაფერი, თორემ მერე დავინამლებით.

– თმაში მწვანე ბაფთები აქვს ჩაწნული, – ვამბობ, – და თან ეწევა.

– ბეიტმენ, – მომმართავს ტიმი და თან ეველინს თვალს არ აშორებს.

– გისმენ, რა მოხდა, ტიმოთი?

– ნამდვილი მანიაკი ხარ.

– დაანებე ჩემს ბიჭს თავი, – ამბობს ეველინი, – პატრიკი ერთი უბრალო ყმანვილია, რომელიც ჩემ მეზობლად ცხოვრობს. ხომ ასეა, საყვარელო? ხომ არ ვცდები? მართლა მანიაკი ხომ არ ხარ?

ეველინი მარსზე ცხოვრობს. ბართან მივდივარ ჭიქის შესავსებად.

– „ჭაბუკი, რომელიც მეზობლად ცხოვრობს!“ – ირონიული ღიმილით წარმოთქვამს ტიმი, შემდეგ კი გამომეტყველებას იცვლის და კიდევ ერთხელ, თავაზიანად სთხოვს ეველინს ტანსაცმლის ჯაგრისს.

ეველინი იაპონური ლუდის ბოთლებს ბოლომდე ხსნის და კორტინის სთხოვს, სტემსა და ვენდენს გახედოს.

„ახლავე უნდა ვჭამოთ, თორემ მერე დავინამლებით“, – თავისთვის ბუტბუტებს ის და სამზარეულოს ათვალიერებს, რათა დარწმუნდეს, რომ არაფერი ავინწყდება.

– იმედია, მოვახერხებ და იმათ „მეგადესის“ ახალ ვიდეოს მოვწყვეტ, – ამ სიტყვების შემდეგ კორტნი სამზარეულოდან გადის.

– უნდა დაგელაპარაკო, – ამბობს ეველინი.

– რა ხდება? – ვუახლოვდები.

– შენ არა, – ეველინი ტიმისკენ მიმითითებს, – პრაისს უნდა ვესაუბრო.

ტიმი კვლავ გრძობით შესცქერის მასპინძელს, მე კი უსიტყვოდ შევყურებ ტიმის ჭიქას.

– გთხოვ, ეს სუში გაიტანე და მაგიდაზე დადე, – მომმართავს ეველინი, – ტემპურა მიკროტალღურ ღუმელში დევეს. ცოტა ხანში ამიშხინდება...

სამზარეულოდან გადის და თან პრაისი მიჰყავს. მისი ხმა თანდათან მშორდება.

ნეტა სად შეუკვეთა ეს სუში! ყველაფერი ახალი და ქორფაა – თინუსი, ყვითელკუდა, მაკრელი, კრევეტები, გველთევზა... ბონიტოც კი! „უილტონის“ მაგიდაზე ჭკვიანურადაა განანწილებული ჯანჯაფილის ნაჭრები და ვასაბის პატარა გორაკები. მაგრამ ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ არ ვიცი, ვერასდროს გავიგებ და არასდროს ვიკითხავ იმას, საიდან გაჩნდა ეს ყველაფერი. სუში Zona-ში ნაყიდი მინის მაგიდის ცენტრში დაიდება. ეს მაგიდა ეველინს მამამისმა – არაბული ზღაპრებიდან გადმოსულმა კეთილმა და ყოვლისშემძლე ჯინმა – უყიდა. ხონჩას ვლებ და მაგიდის გლუვ ზედაპირზე ჩემს ანარეკლს ვხედავ. სანთლის შუქის გამო კანი უფრო მუქი მიჩანს. ვამჩნევ, რა დიდებულია გასულ ოთხშაბათის ვიზიტისას Gio-ში დაყენებული ჩემი ვარცხნილობა. სასმელს ვისხამ და ვღელავ ნატრიუმის დოზაზე, რომელსაც სოიის სოუსი შეიცავს.

ტანსაცმლის ჯაგრისის მოსაძებნად გასულ ეველინსა და ტიმოთის ველოდებით. მაგიდასთან ოთხი ადამიანი ვსხედვართ. მე სუფრის თავში ვზივარ და მოზრდილი ყლუპებით ვსვამ J&B-ს. მაგიდის ბოლოში, ჩემ პირდაპირ, ვენდენი ჩამომჯდარა და უგულისყუროდ კითხულობს რაღაც ისტვილიჯურ ნაგავს, რომელსაც Deception¹ ჰქვია. ჩემს ყურადღებას ჟურნალის მყვირალა ჰედლაინი იპყობს – „დაუნთაუნის სიკვდილი“. სტემმა თეფშზე გადაღებულ ყვითელკუდას ნაჭერს ჩხირი ჩაარჭო. ეს სახელდახელო კომპოზიცია მბრწყინავ, ხასხასა მწერს წააგავს. ჩხირები ვერტიკალურ მდგომარეობაშია. სტემს უჭირავს ჩხირი და ყვითელკუდას ნაჭერს თეფშის ზედაპირზე ასრიალებს. არც მე მიყურებს,

¹ „ტყუილი“

არც ვენდენს, არც კორტნის, რომელიც ჩემ გვერდით ზის და შამპანურის ჭიქით ქლიავის ღვინოს წრუპავს.

ეველინი და ტიმოთი დაახლოებით ოცი წუთის შემდეგ ბრუნდებიან. ეველინს ოდნავ შევარდისფრებია ლოყები. ტიმი მომჩერებია, თან ჩემ გვერდით ჯდება. ხელში ახლახან დასხმული სასმელი უჭირავს. რალაცის სათქმელად იხრება ჩემკენ, მაგრამ მოულოდნელად ეველინი აწყვეტინებს:

– მანდ არა, ტიმოთი, – ამბობს ის და ძალიან ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით წარმოთქვამს: – გოგო-ბიჭი... გოგო-ბიჭი, – ვენდენის გვერდით მდგარი ცარიელი სკამისკენ მიუთითებს. ტიმოთი ეველინს შეავლებს თვალს, ერთხანს ყოყმანობს და ბოლოს გვერდით უჯდება ვენდენს, რომელიც ამთქნარებს და ჟურნალს ფურცლავს.

– მაშ ასე, მეგობრებო, – ილიმის თავისი მასპინძლობით ნასიამოვნები ეველინი, – შევესიოთ!

იგი სუშის იმ ნაჭერს ამჩნევს, სტეშმა რომ ჩხირი ჩაარჭო. ხელოვანს თავის თეფშში ჩაურგავს თავი და რალაცას ბუტბუტებს. ეველინის კულინარიული კომპოზიცია უკვე განადგურებულია, თუმცა მასპინძელი მაინც მამაცურად ილიმება და მხიარულად ჟღერტულებს:

– ქლიავის ღვინოს ხომ არ ინებებთ?

ყველა ჩუმდაა. საბოლოოდ დუმილს კორტნი არღვევს, რომელიც ასევე სტეშის თეფშს დაჰყურებს, არც ისე მტკიცე მოძრაობით სწევს ჭიქას და ცდილობს, გაილიმოს:

– რა... გემრიელია, ეველინი!

სტეში ხმას არ იღებს. იგი საერთოდ არ ჰგავს ამ ოთახში შეკრებილ სხვა მამაკაცებს – არც თმა აქვს უკან გადავარცხნილი, არც აჭიმები უკეთია და არც რქისჩარჩოიან სათვალეს ატარებს. თანაც ყველაფერი შავი აცვია და არ უხდება. სიგარის გაკიდებისა და მოქაჩვის სურვილიც არ ეტყობა. სავარაუდოდ, „ქემოლზში“ მაგიდის შეკვეთის უნარიც კი არ აქვს. მოკლედ, არაფერს წარმოადგენს, და ამიტომ, არ არის გამორიცხული, თავს უხერხულად გრძნობდეს ამ მაგიდასთან, მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, ისე იქცევა, თითქოს არაფრის ერიდება – თითქოს მისი ცნობიერება მთლიანად ამ ბრწყინვალე, ხასხასა როლს დაუპყრია. ვცდილობთ, მისი არსებობა დავივიწყოთ, თვალი ავარიდოთ და ჭამას შევუდგეთ, მაგრამ უცებ სტეში თავს მალლა სწევს, იმართება, საჩვენებელ თითს თავისი თეფშისკენ იშვერს და ხმამალლა წარმოთქვამს:

– გამოძრავდა!

ტიმოთი მას ისეთი ზიზლით შესცქერის, ასე მე ვერ მოვახერხებდი, თუმცა თავს ძალას ვატან, რომ მიახლოებითი ემოცია მაინც დამეტყოს. როგორც ჩანს, მისმა გამობდომამ ვენდენი გაამხიარულა, კორტნიც გახალისდა, რომელსაც,